ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია “ 20 ” აგვისტო 2019 წ.

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

“ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომში - “ხელშეკრულება”) – “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონისა და “სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ” დებულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

“შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომში “შემსყიდველი”) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

“მიმწოდებელი” ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

“ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნითი შესრულებისათვის;

“დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია ერთის მხრივ შ.პ.ს. “საქართველოს ტელერადიოცენტრი”-ს (მისამართი: ქ.თბილისი, ფუნიკულიორის ზედა პლატო; ტელ: 2506330, ს/ნ №203829250; ს.ს. “საქართველოს ბანკი”, ანგ №:GE78BG0000000181761401, კოდი BAGAGE22; დირექტორი: გიორგი დეკანოსიძე) – შემდგომში “შემსყიდველს” და მეორეს მხრივ შპს “ჯითიეს ელექტრონიქსი” (იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას IV კვ. კორპ.4, ბ.25; ფაქტიური მისამართი: ქ.თბილისი, მოსკოვის გამზირი №35; ტელ: 2710800, 2710900 ს/ნ: 205029351; ს.ს. “საქართველოს ბანკი”, ანგ №:GE89BG0000000298044900, კოდი BAGAGE22; დირექტორი: დავით ქოჩიაშვილი) – შემდგომში “მიმწოდებელს” შორის.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს დასამუხტი მოწყობილობების (**CPV31600000-ელექტრომოწყობილობები და აპარატურა, კერძოდ დეტალური CPV31681500 დამტენები)** შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, *“სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის “ხ”-ქვეპუნქტის შესაბამისად მონეტარული ზღვრების დაცვით.*

3.2 შესყიდვის ობიექტის ზუსტი დასახელება, შესაბამისი მახასიათებლები, რაოდენობა და ფასი ერთეულის მიხედვით მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართ №1-ში, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. მისაწოდებელი საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს **541,60 (ხუთასორმოცდაერთი ლარი და 60 თეთრი) ლარს**. აღნიშნულ თანხაში შესულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები, რომელთა გადახდაც ეკისრება მიმწოდებელს.

4.2. წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულების დაფინანსების წყაროა შემსყიდველის 2019 წლის სახსრები – საკუთარი შემოსავლები.

5. მხარეთა უფლება მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია ამ ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში განახორციელოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება, ამავე ხელშეკრულებით და მისი დანართებით განსაზღვრული პარამეტრების დაცვით. იგი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხსა და ვარგისიანობაზე.

5.2. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს უხარისხო საქონლის მიღებაზე.

5.3. შემსყიდველს უფლება აქვს შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

5.4. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას მიწოდებული საქონლის ღირებულება

5.5. თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს მეორე მხარისაგან ამ ხელშერულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულება.

5.6. თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს და მიიღოს მეორე მხარის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით, ან მათი არაჯეროვნად, არაკეთილსინდისიერად ან/და არადროულად შესრულებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტი უნდა იყოს ახალი (უხმარი), ექსპლუატაციაში არმყოფი. საქონელი მიწოდებული იქნება შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მთაწმინდა, ფუნიკულიორის ზედა პლატო. შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრის" სათავო ოფისი.

6.2. შესყიდვის ობიექტის (საქონლის) მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში. საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, რომლის საფუძველია სასაქონლო ზედნადები.

6.3. მიწოდების პარალელურად მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა (სასაქონლო ზედნადები და ანგარიშ-ფაქტურა შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს ელექტრონული ფორმით).

6.4. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასა და ხელმოწერაზე შემსყიდველის მხრიდან პასუხისმგებელი პირია: თ.სვანიძე ან/და გ.ცინცაძე;

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებზე კონტროლს განახორციელებს შემსყიდველი საწარმოს ინსპექტირების ჯგუფი შემდეგ თანამშრომელთა შემადგენლობით: თ.სვანიძე, გ.ცინცაძე;

8. მიწოდებული საქონლის (გასაწევი მომსახურების) ხარისხი და გარანტია

8.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონელი შეესაბამება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელს არ გააჩნია რაიმე ნაკლი ან დეფექტი და იქნება ვარგისი თავისი დანიშნულებით გამოყენებისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ ბრალეული გაჭიანურების გარეშე, საკუთარი სახსრებითა და რესურსებით უზრუნველყოს ნაკლის და დეფექტის აღმოფხვრა, ხოლო მისი ვერ უზრუნველყოფის შემთხვევაში, უსასყიდლოდ შეცვალოს საქონელი. წინააღმდეგ შემთხვევაში მიმწოდებლის ქმედება კლასიფიცირდება როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, და მასზე გავრცელდება საქართველოს კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით

გათვალისწინებული პასუხისმგებლობისა და სანქციების საკითხები. საგარანტიო პირობები ძალაშია შემსყიდველის მიერ შესყიდვის ობიექტის ექსპლუატაციის წესების დაცვის შემთხვევაში.

8.2 ამ ხელშეკრულების 8.1. პუნქტის მოქმედება ძალაშია მხოლოდ მიწოდებული საქონლის საგარანტიო ვადის განმავლობაში, რომელიც შეადგენს 1 (ერთი) წელს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის მიუხედავად, მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს საგარანტიო მომსახურება გარანტიის პერიოდის ამოწურვამდე. საგარანტიო პირობების ფარგლებში წუნდებული საქონლის შეკეთება/შეცვლა უნდა განხორციელდეს 15 კალენდარული დღის ვადაში.

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშწორებით, მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვით.

9.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიწოდებული საქონლის ოდენობის შესაბამისად, ამ ხელშეკრულების მე-6 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტების სრულყოფილად წარმოდგენიდან 10 კალენდარული დღის ვადაში. ამ პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოუდგენლობის შემთხვევაში, შემსყიდველი არ მოახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებელთან.

10. ფასები

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლში დაფიქსირებული შესასყიდი საქონლის (გასაწევი მომსახურების) ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტერს და მისი შეცვლა დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით.

11.2 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.3 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლების გადაცემა

12.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება–მოვალეობანი.

13 ფორს-მაჟორი

13.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან

დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისთვის ხელშეკრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის 'ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით და სხვა.

13.3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინებების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

14.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან საქონლის მიწოდებისათვის (მომსახურების გაწევისათვის) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

14.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

14.3. შემყიდველის მიერ ხელშეკრულების 9.2. პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

14.4. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.5. იმ შემთხვევაში, თუკი ხელშეკრულების რომელიმე მხარეზე დაკისრებული პირგასამტეხლო გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

15.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

15.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

15.5. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე;

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

ბ) ამ ხელშეკრულების 14.5. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15.6. ამ მუხლის 15.5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის (გაწეული მომსახურების) ღირებულება.

16. დავების გადაწყვეტის წესი

16.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

16.2. მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხის დავის გადაწყვეტის შესახებ გადაეცემა სასამართლოს.

17. სხვა პირობები

17.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში (*გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით*), თუმცა არაუგვიანეს 2019 წლის 31 დეკემბრისა.

17.2 ამ ხელშეკრულების 17.1. პუნქტში მოცემული მოქმედების ვადის ამოწურვის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულების მე-8 მუხლით განსაზღვრული პირობა ძალაშია ამავე მუხლით განსაზღვრული პერიოდის დასრულებამდე.

17.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
შ.პ.ს. "საქართველოს ტელერადიოცენტრი"	შ.პ.ს. "ჯითიეს ელექტრონიქსი"
დირექტორი:	დირექტორი:
---------- /გ.დეკანოსიძე/	---------- / დ.ქოჩიაშვილი /

TV-Radio Center of Georgia LLC

Digitally signed by TV-Radio Center of Georgia LLC
Date: 2019.08.20 14:46:17 +04'00'

დანართი №1

№	დასახელება (დეტალური აღწერა)	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო თანხა (ლარი)
1	**დასამუხტი SPS-C1206** CPV31681500 დამტენები აკუმულატორის დამტენი გენერატორებისათვის EMG 11 kva და Teqsan 8.8 kva შემავალი ძაბვა 220-240 ვ; სიმძლავრე - არანაკლებ 70 ვტ; სიხშირე - 50/60 ჰც; გამომავალი პარამეტრები - 12 ვ./ 4 ა (არანაკლებ);გაბარიტული ზომები: არაუმეტეს 100*100	ცალი	5	108.32	541.60

შემსყიდველი

შ.პ.ს. "საქართველოს ტელერადიოცენტრი"

დირექტორი:

---------- /გ.დეკანოსიძე/

მიმწოდებელი

შ.პ.ს. "ჯითიეს ელექტრონიქსი"

დირექტორი:

---------- / დ.ქოჩიაშვილი /